სექტემბერი

რეკომენდაცია

- ✓ დაავადებების კონტროლი
- ✓ არა... ანტიბიოტიკებით „პროფილაქტიკას“
- ✓ დაავადების შემთხვევაში იმოქმედეთ ვეტერინარის კონსულტაციის შესაბამისად
- ✓ ვაროას ტესტი
- ✓ მომავალი სეზონისათვის მზადება
- ✓ ზამთრის საკვები მარაგების კონტროლი
- ✓ მოზამთრე ფუტკრის ჯანმრთელი თაობისათვის ზრუნვა
- ✓ საშემოდგომო ღალისათვის მზადება
- ✓ ფუტკრის დედების კვერცხდებაზე დაკვირვება
- ✓ ზამთრისათვის მზადება
- ✓ ყველნაირი დამატებითი კვება და საკვები მარაგის შევსება ამ თვეში უნდა დასრულდეს!
- ✓ საკვების ნაკლებობის შემთხვევაში მიზანშეწონილია ინვერსირებული სიროპის ან კიდევ შაქრის სიროპის 2:1-ზე (შაქარი:წყალი) პროპორციით მიწოდება

შესასრულებელი სამუშაოები

- ➢ აღმოსავლეთ საქართველოში ველოდებით უბარტყობის რეჟიმს და უბარტყობისას ვამუშავებთ ვაროაზე ერთჯერადად შესაბამისი პრეპარატის მოქმედი ნივთიერების გათვალისწინებით
- ➢ დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში ვემზადებით ოქროწკეპლას ღალისათვის
- ➢ ამოგვაქვს ზედმეტი ჩარჩოები სკიდან და უვარგისებს, შავ ფიჭებიანებს გადავდებთ ცვილის გადასადნობად
- ➢ მომავალი სეზონისათვის გამოსადეგ ფიჭებს ვინახავთ ჩრჩილისგან და მღრნელებისაგან მიუწვდომელ ადგილას
- ➢ სუსტი ოჯახების გაერთიანება